საქმე №010332221900140090

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსკ-03-21 **22 ნოემბერი, 2021 წელი**
სსკ-03-21 გ **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: მერაბ გაბინაშვილი,
მოსამართლეები: მამუკა ვასაძე (მომხსენებელი), ვლადიმერ კაკაბაძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – გ. გ

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გასაჩივრებული აქტი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 ოქტომბრის საოქმო გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 13 ოქტომბრის N127 განკარგულება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების გაუქმება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას საჩივრით მომართა გ. გ-მ *(შემდეგში: საჩივრის ავტორი),* რომელმაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების გაუქმება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში: ორგანული კანონი) 36[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დოკუმენტია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება კი წესრიგდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს, ხოლო, თუ ასეთი კანონი არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს.

3. საჩივრის ავტორის განმარტებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 ნაწილის განხილვის დროს, მოსამართლის განცხადების მოთხოვნაზე (საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, მის წაროებაში არსებული საქმეების დასრულებამდე, მისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ), უარის თქმის თაობაზე მისი გასაჩივრების წესი არ რეგულირდება ამ კანონით, თუმცა, ამავე კოდექსის 36[5]-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე

უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ: შეფასებისას, შემფასებელი/გასაუბრებისას, (ამ შემთხვევაში, განცხადების განხილვისას) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მიკერძოებულნი იყვნენ, ბ) შეფასებისას, შემფასებელი/გასაუბრებისას (ამ შემთხვევაში განცხადების განხილვისას) იუსტიციის საბჭოს წევრების მიდგომა დისკრიმინაციული იყო.

4. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საბჭოს წევრები მის მიმართ მიკერძოებულად და დისკრიმინაციულად მოქმედებდნენ.

4.1 საჩივრის ავტორის მითითებით, მისი განცხადების განხილვისას მომხსენებელი განმარტავდა, რომ მსგავსი სახის განცხადების დაკმაყოფილების პრეცედენტი არ არსებობდა, რითაც წინასწარ ცდილობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განწყობის შექმნას, რაც არასწორი მიკერძოებული და დისკრიმინაციულია.

4.2. საბჭოს წევრთა მიკერძოებას გამოხატავს განმარტება იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იქნებოდა მისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება, მის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის დასრულებამდე, თუ მას ექნებოდა წარმოებაში საპატიმრო სისხლის სამართლის საქმეები. აღნიშნული განმარტება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გაიზიარეს, მიუხედავად იმისა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლის მეხუთე ნაწილი არ ითვალისწინებს წარმოებაში არსებულ, მხოლოდ საპატიმრო სისხლის სამართლის საქმეებს, არამედ, ნებისმიერი კატეგორიის საქმეს. ყოველივე ეს მიუთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიკერძოებასა და დისკრიმინაციულ მიდგომას მის მიმართ.

4.3. მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძლებაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ მის წარმოებაში არ არის ბევრი საქმე არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან დიდი ოდენობით საქმეთა დასრულებას დასჭირდებოდა რამდენიმე წელი და, შესაბამისად, მეტ პრობლემას შექმნიდა ვადის გასაგრძელებლად, ხოლო მის წარმოებაში არებული რამდენიმე ათეული საქმე შესაძლებელი იყო რამდენიმე თვეში განხილულიყო.

5. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დააგვიანა სათანადო დოკუმენტაციის გადაგზავნა სოციალურ სამახურში, იგი ვერ მიიღებს ნოემბრის პენსიას.

6. საჩივრის ავტორის მოთხოვნაა: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 ოქტომბრის საოქმო გადაწყვეტილების გაუქმება, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელებაზე (წარმოებაში არსებული საქმეების დასრულებამდე, მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელებაზე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ) უარის თქმის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის

13 ოქტომბრის N172 განკარგულების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი, თანდართული მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით, წარმოებაში არ უნდა იქნეს მიღებული შემდეგ გარემოებათა გამო:

7. ორგანული კანონის 19^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა ამ კანონის 35^4, 36^5 და 36^6 მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე“.

8. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი პუნქტის თანმახმად, „მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში“ ამავე კანონის 36^5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „მოსამართლეს უფლება აქვს, თანამდებობაზე მისი უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაეს სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში“. ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლეობის კანდიდატს ან მოსამართლეს შეუძლია საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივროს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადო გამწესებაზე.

9. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საჩივრის ავტორს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 ოქტომბრის საოქმო გადაწყვეტილებით არ გაუგრძელდა სამოსამართლეო უფლებამოსილება მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულებამდე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. ასევე - 2021 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N172 განკარგულებით - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჩივრის ავტორი გათავისუფლდა

მოსამართლის თანამდებობიდან 65 წელს მიღწევის გამო. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36[5] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრებას ექვემდებარება მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება. აღნიშნული ნიშნავს, რომ საკვალიფიკაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, წარმოებაში მიიღოს წარმოდგენილი საჩივარი, შეისწავლოს და იმსჯელოს იმ გარემოებებზე, რომლებზეც წინამდებარე განჩინების აღწერილობით ნაწილშია მითითებული.

10. ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი საჩივარი არ ექვემდებარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში განხილვას, რის გამოც საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე. ამასთან, საკვალიფიკაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს უფლება აქვს, საერთო სასარჩელო წესით დაიცვას საკუთარი ინტერესები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 15.1 „ზ“; 19[1].; 36[5] მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ს უარი ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: **მერაბ გაბინაშვილი**

მოსამართლეები: **მამუკა ვასაძე**

ვლადიმერ კაკაბაძე